განმცხადებელი : ალტერნატივა
თარიღი : 07-01-2022
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **:** პრინციპი 1;პრინციპი 4;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:** TV 25

სადავო მასალა **:**

1. https://fb.watch/ao1crYAX3-/
2. https://fb.watch/ao1gru30wz/

დამატებითი მასალა: https://fb.watch/ao2p4XfOGW/

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება **:**

პრინციპი 1 ჟურნალისტმა არ გადაამოწმა წყაროსთან იყო თუ არა დაცული რეგულაციები (პირბადის ტარება არ არი მხოლოდ რეგულაციების დაცვა) პრინციპი 4 ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს, თუმცა ტვ 25 საჯაროდ უპასუხისმგებლო მოქალაქეებს უწოდებს ოპოზიციას, რომელზეც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელია აღნიშნული, რომლის მხრიდანაც არაერთხელ იყო საჯაროდ დაგმობილი შერჩევითი რეგულაციები და საზოგადოება აღნიშნულ სიუჟეტში ხათუნა ბერიძეს აღიქვამს როგორც პარტიის წევრს და თანამონაწილეს წარსულში რეგულაციების დაცვის მოთხოვნაში (სინამდვილეში ტვ 25 ვიდეოს მხოლოდ ალტერნატივა ნჯო ს ხელმძღვანელის დისკრიმინაციისთვის იყენებს, ვინაიდან ვიდეოგადაღებას სწორედ ხათუნა ბერიძე აწარმოებდა და ზუსტი მიზანი იყო, რომ მას ამ ლაივის გადაღების გამო პარტიის წევრები დაპირისპირებოდნენ , რაც შემდგომ ტვ 25 ის მხრიდან სამოცამდე ჟურნალისტის შეცდომაში შეყვანით ხელს აწერინებს ტვ 25 განცხადებაზე, სადაც ენმ ს სთხოვდნენ , რომ გაემიჯნონ ხათუნა ბერიძეს. ქორწილში აცრისა და კოვიდპასპორტის მეშვეობით იყო შესაძლებელი დასწრება, რაც გადამოწმებული იქნა მუნიციპალური ინსპექციის მიმართ, ასევე ნათლად ჩანს დაშორება მაგიდებს შორის . ტვ 25 მა იცრუა რეგულაციებთან დაკავშირებით. პრინციპი 11 ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება; ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ; პლაგიატი. წყარო არ იყო მითითებული სიუჟეტში , რითაც დაარღვია საავტორო უფლებები.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები